2023 წ.

ოპერატიული ინფორმაცია
2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-ოქტომბერი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ოქტომბრის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 27 ნოემბრისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ნოემბერი, 2023 წ.

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 18,357.4 მლნ ლარს, წლიური გეგმის (22,170.9 მლნ ლარი) 82.8%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,552.8 მლნ ლარით (16.2%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

გადასახდელების შესრულება 17,672.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (22,311.3 მლნ ლარი) 79.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-ოქტომბრის მაჩვენებელს 2,491.4 მლნ ლარით (16.4%-ით) აჭარბებს.

2014–2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 10 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



შესაბამისად, იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **684.8** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი ნოემბრისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 1,932.3 მლნ ლარის ოდენობით.

2014–2023 წწ. 10 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)



რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** წლიური გეგმის მიმართ კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლებისა (84.4%) და ვალდებულებების ზრდის (79.9%) კომპონენტები, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტები გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (შესაბამისად, 51.8% და 52.4%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური დამტკიცებული გეგმის მაჩვენებლებთან მიმართებით, შედარებით კარგი შესრულებით ხასიათდება ხარჯების (80.4%), აგრეთვე, ვალდებულებების კლების (78.9%) კომპონენტები, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები შედარებით დაბალი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 75.1% და 68.3%).

დასახელება	2023 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	10 თვე / წლიური გეგმა	დასახელება	2023 წლის გეგმა	10 თვის შესრულება	10 თვე / წლიური გეგმა
შემოსულობები	**22,170.9**	**18,357.4**	**82.8%**	**გადასახდელები**	**22,311.3**	**17,672.7**	**79.2%**
შემოსავლები	18,239.9	15,395.3	**84.4%**	ხარჯები	16,899.9	13,589.7	**80.4%**
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	103.5	**51.8%**	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,955.7	2,970.4	**75.1%**
ფინანსური აქტივების კლება	450.0	235.6	**52.4%**	ფინანსური აქტივების ზრდა	337.2	230.4	**68.3%**
ვალდებულებების ზრდა	3,281.0	2,623.1	**79.9%**	ვალდებულებების კლება	1,118.5	882.2	**78.9%**

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,805.5** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **(-1,061.3)** მლნ ლარი.



შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-ოქტომბერში მიღებული შემოსავლების 90.5% და მთლიანი შემოსულობების 75.9% მოდის. კერძოდ, 10 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 13,933.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის 83.4%-ს შეადგენს. ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადებისა, რომელიც 28.1% შეადგენს) წლიური გეგმის მიმართ კარგი შესრულებით ხასიათდება და 82.6%-85.2%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,188.5 მლნ ლარით (18.6%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის (791.6 მლნ ლარით) და დღგ-ის (689.8 მლნ ლარით) მნიშვნელოვანი მატების გავლენით.



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-ოქტომბერში 13,589.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 80.4%-ია. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, წლიური დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტი (85.5%), კარგი მაჩვენებლები აქვს სოციალური უზრუნველყოფის (83.3%), სუბსიდიების (81.1%) და საქონლისა და მომსახურების (80.7%), აგრეთვე, შრომის ანაზღაურებისა (78.0%) და სხვა ხარჯების (77.0%) მუხლებით გაწეულ ხარჯებს, შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება გრანტების მუხლი (70.3%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 1,669.3 მლნ ლარით (14.0%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფისა (632.7 მლნ ლარით) და პროცენტის (406.3 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის 10 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 10 თვის შესრულება	2023 წლის 10 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 10 თვის შესრულება / 2022 წლის 10 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	**14,219.8**	**15,804.6**	**22,170.9**	**18,357.4**	**-3,813.5**	**82.8%**	**2,552.8**	**16.2%**
შემოსავლები	**10,118.0**	**13,013.1**	**18,239.9**	**15,395.3**	**-2,844.6**	**84.4%**	**2,382.1**	**18.3%**
გადასახადები	**9,146.3**	**11,745.2**	**16,710.4**	**13,933.7**	**-2,776.7**	**83.4%**	**2,188.5**	**18.6%**
საშემოსავლო გადასახადი	2,829.3	3,839.9	5,486.4	4,631.5	-854.8	84.4%	791.6	20.6%
მოგების გადასახადი	857.8	1,651.3	2,000.0	1,704.7	-295.3	85.2%	53.4	3.2%
დღგ	3,951.1	4,929.0	6,804.0	5,618.8	-1,185.2	82.6%	689.8	14.0%
აქციზი	1,426.4	1,603.4	2,220.0	1,836.7	-383.3	82.7%	233.3	14.6%
იმპორტის გადასახადი	68.5	99.3	150.0	127.8	-22.2	85.2%	28.6	28.8%
სხვა გადასახადები	13.1	-377.7	50.0	14.1	-35.9	28.1%	391.7	-103.7%
გრანტები	**328.7**	**300.7**	**279.6**	**254.6**	**-25.0**	**91.1%**	**-46.1**	**-15.3%**
სხვა შემოსავლები	**643.0**	**967.3**	**1,250.0**	**1,207.0**	**-43.0**	**96.6%**	**239.8**	**24.8%**
არაფინანსური აქტივების კლება	**161.9**	**156.0**	**200.0**	**103.5**	**-96.5**	**51.8%**	**-52.4**	**-33.6%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**102.3**	**113.6**	**450.0**	**235.6**	**-214.4**	**52.4%**	**122.0**	**107.3%**
ვალდებულებების ზრდა	**3,837.7**	**2,521.9**	**3,281.0**	**2,623.1**	**-658.0**	**79.9%**	**101.2**	**4.0%**
საგარეო	4,409.2	1,410.2	1,881.0	1,489.8	-391.2	79.2%	79.6	5.6%
საშინაო	-571.5	1,111.6	1,400.0	1,133.2	-266.8	80.9%	21.6	1.9%
გადასახდელები	**15,903.4**	**15,181.3**	**22,311.3**	**17,672.7**	**-4,638.6**	**79.2%**	**2,491.4**	**16.4%**
ხარჯები	**11,183.6**	**11,920.4**	**16,899.9**	**13,589.7**	**-3,310.2**	**80.4%**	**1,669.3**	**14.0%**
შრომის ანაზღაურება	1,345.4	1,450.6	2,237.1	1,744.7	-492.5	78.0%	294.1	20.3%
საქონელი და მომსახურება	1,352.2	1,460.9	2,085.4	1,683.7	-401.7	80.7%	222.8	15.2%
პროცენტი	670.2	620.5	1,201.0	1,026.7	-174.3	85.5%	406.3	65.5%
სუბსიდიები	659.8	657.8	932.6	756.4	-176.1	81.1%	98.6	15.0%
გრანტები	615.7	758.5	1,370.0	962.7	-407.3	70.3%	204.2	26.9%
სოციალური უზრუნველყოფა	4,944.1	5,003.3	6,762.9	5,636.0	-1,126.9	83.3%	632.7	12.6%
სხვა ხარჯები	1,596.2	1,968.8	2,310.8	1,779.5	-531.3	77.0%	-189.3	-9.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,895.0**	**2,265.2**	**3,955.7**	**2,970.4**	**-985.2**	**75.1%**	**705.2**	**31.1%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**281.2**	**184.0**	**337.2**	**230.4**	**-106.8**	**68.3%**	**46.3**	**25.2%**
ვალდებულებების კლება	**2,543.6**	**811.6**	**1,118.5**	**882.2**	**-236.4**	**78.9%**	**70.5**	**8.7%**
საგარეო	2,489.9	776.8	1,075.6	847.5	-228.1	78.8%	70.7	9.1%
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.6	-8.3	80.7%	-0.2	-0.6%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / – გამოყენება)	**-1,683.6**	**623.4**	**-140.4**	**684.8**	**825.1**		**61.4**	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 10 თვის შესრულება	2022 წლის 10 თვის შესრულება	2023 წლის წლიური გეგმა	2023 წლის 10 თვის შესრულება	2023 წლის 10 თვის შესრულება / 2023 წლის წლიური გეგმა		2023 წლის 10 თვის შესრულება / 2022 წლის 10 თვის შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	**10,118.0**	**13,013.1**	**18,239.9**	**15,395.3**	**-2,844.6**	**84.4%**	**2,382.1**	**18.3%**
გადასახადები	9,146.3	11,745.2	16,710.4	13,933.7	-2,776.7	83.4%	2,188.5	18.6%
გრანტები	328.7	300.7	279.6	254.6	-25.0	91.1%	-46.1	-15.3%
სხვა შემოსავლები	643.0	967.3	1,250.0	1,207.0	-43.0	96.6%	239.8	24.8%
ხარჯები	**11,183.6**	**11,920.4**	**16,899.9**	**13,589.7**	**-3,310.2**	**80.4%**	**1,669.3**	**14.0%**
შრომის ანაზღაურება	1,345.4	1,450.6	2,237.1	1,744.7	-492.5	78.0%	294.1	20.3%
საქონელი და მომსახურება	1,352.2	1,460.9	2,085.4	1,683.7	-401.7	80.7%	222.8	15.2%
პროცენტი	670.2	620.5	1,201.0	1,026.7	-174.3	85.5%	406.3	65.5%
სუბსიდიები	659.8	657.8	932.6	756.4	-176.1	81.1%	98.6	15.0%
გრანტები	615.7	758.5	1,370.0	962.7	-407.3	70.3%	204.2	26.9%
სოციალური უზრუნველყოფა	4,944.1	5,003.3	6,762.9	5,636.0	-1,126.9	83.3%	632.7	12.6%
სხვა ხარჯები	1,596.2	1,968.8	2,310.8	1,779.5	-531.3	77.0%	-189.3	-9.6%
საოპერაციო სალდო	**-1,065.6**	**1,092.7**	**1,340.0**	**1,805.5**	**465.6**	**134.7%**	**712.8**	**65.2%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,733.1**	**2,109.2**	**3,755.7**	**2,866.9**	**-888.8**	**76.3%**	**757.7**	**35.9%**
ზრდა	1,895.0	2,265.2	3,955.7	2,970.4	-985.2	75.1%	705.2	31.1%
კლება	161.9	156.0	200.0	103.5	-96.5	51.8%	-52.4	-33.6%
მთლიანი სალდო	**-2,798.7**	**-1,016.5**	**-2,415.7**	**-1,061.3**	**1,354.3**	**43.9%**	**-44.9**	**4.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-1,504.7**	**693.8**	**-253.2**	**679.6**	**932.7**	**-268.4%**	**-14.2**	**-2.0%**
ზრდა	**281.2**	**807.4**	**337.2**	**915.1**	**577.9**	**271.4%**	**107.7**	**13.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	623.4	0.0	684.8	684.8		61.4	9.9%
სესხები	281.2	184.0	337.2	229.3	-107.9	68.0%	45.2	24.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	1.1	1.1		1.1	
კლება	**1,785.9**	**113.6**	**590.4**	**235.6**	**-354.8**	**39.9%**	**122.0**	**107.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	1,683.6	0.0	140.4	0.0	-140.4	0.0%	0.0	
სესხები	100.0	112.6	450.0	234.0	-216.0	52.0%	121.4	107.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	2.3	1.0	0.0	1.6	1.6		0.6	60.6%
ვალდებულებების ცვლილება	**1,294.1**	**1,710.2**	**2,162.5**	**1,740.9**	**-421.6**	**80.5%**	**30.7**	**1.8%**
ზრდა	**3,837.7**	**2,521.9**	**3,281.0**	**2,623.1**	**-658.0**	**79.9%**	**101.2**	**4.0%**
საშინაო	-571.5	1,111.6	1,400.0	1,133.2	-266.8	80.9%	21.6	1.9%
საგარეო	4,409.2	1,410.2	1,881.0	1,489.8	-391.2	79.2%	79.6	5.6%
კლება	**2,543.6**	**811.6**	**1,118.5**	**882.2**	**-236.4**	**78.9%**	**70.5**	**8.7%**
საშინაო	53.7	34.9	42.9	34.6	-8.3	80.7%	-0.2	-0.6%
საგარეო	2,489.9	776.8	1,075.6	847.5	-228.1	78.8%	70.7	9.1%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**	